№ 205

1877—1898

№ 205

ხუთშაბათი, 24 სექტემბერი, 1898 წ.

# ივერია

გაზეთის ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10— | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

ხუთშაბათი, 24 სექტემბერი, 1898 წ.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

**დარია ზაქარიას ასული, ელისაბედ სერგეის ასული და გრიგოლ ივანეს ძე მირზოევები, თავადი ნიკოლოოზ ვასილის ძე და კნეინა მარიამ ივანეს ასული არღუთინსკი-დოლგორუკოვები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა პირველი—შვილისა, მეორე—მეუღლისა, მესამე და მეხუთე—ძმისა და მეოთხე—ცოლის ძმისა

**მინა ივანეს ძის მირზოევისას.**

პანაშვიდი ყოველ დღე არის საღამოს 6 საათზედ, ორთაჭალაში, საკუთარს სახლში. მიცვალებულის გვამს გაასვენებენ ხუთშაბათს, 24 სექტემბერს, ვანქის ტაძარში, დილის 9 საათზედ, დაასაფლავებენ სოფ. თელეთში საგვარეულო აკლდამაში.

(3—141—3)

დრამატ. საზოგ. დროებით თავმჯდომარე ამით იუწყება, რომ

**ქართულ დრამატიულ საზოგადოების**

**საგანგებო კრება**

დანიშნულია 25 სექტემბერს საღამოს 7 საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში

გამგეობას ხუთის წევრის ამოსარჩევად იმათ მაგიერ, რომელთაც გამგეობის წევრობაზე უარი განაცხადეს.

(3—3)

**პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. **ა. ი. რუდენკო.** $10^1/_2$—$11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აუცრის.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის $11^1/_2$—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის. ყურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფ.

საღამოობით:

**გ. მ. მახვილაძე.**—6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ. ნერვებისა და კანის სნეულებ.

**ბ. ა. ნავასარდიანი**—$6^1/_2$—7 საათ

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(ў)

**კბილის ექიმი**

**ა. გ. სოლოლაშვილი**

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-დგან 2 მდე და ნაშუადღევის 5-დგან 7-მდე.

მიხეილის ქუჩა № 32. (10—უ.—1)

## ახალი ამბავი

*** 21 სექტემბერს, საღამოს 8 საათზედ, კავკასიის მთავარ-მართებლის საბჭოს დარბაზში კრება ჰქონდა ამიერ-კავკასიის სასტატისტიკო კომიტეტს. კომიტეტის წევრების გარდა კრებას დაესწრნენ: ტფილისის გუბერნატორი თ. ა. ბიკოვი, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი კ. პ. იანოვსკი, მიწად-მოქმედების მინისტრის რწმუნებული კავკასიაში ი.ს.მედვედევი, მთავარ-მართებლის საბჭოს წევრნი ნ. ა. სულთან-კრიმ-გირეი და ნ. ი. პრიბილი, კავკასიის აგრონომები და სხვანი. კრებამ მოისმინა პროფესორ ვ. ვ. დოკუჩაევის მოხსენება კავკასიის ნიადაგის შესახებ. თავის მოხსენებაში პატივცემულმა პროფესსორმა ის აზრი გაატარა, რომ ამიერ-კავკასიის ნიადაგი ყოველის მხრივ უნდა იქმნას შესწავლილი და იმის დაკვალად წარმართული სასოფლო-მეურნეობაცაო. პროფესსორის გამოანგარიშებით ამ საქმეს დასჭირდება სულ 152,950 მან. კრებამ ერთხმად მოიწონა ეს წინადადება და დაადგინა მიჰმართოს კავკასიის მთავარ-მართებელს და სთხოვოს გადადებულ იქმნას საჭირო თანხა ამ აზრის განსახორციელებლად. კრების დასასრულს დამსწრეთ დიდი მადლობა გარდაუხადეს მოხსენების წაკითხვისათვის პროფესსორს ვ. ვ. დოკუჩაევს.

*** გუშინ წინ, საღამოს 6 საათისა და 10 წუთზედ, ამიერ-კავკასიის რკინის გზით პორჯომიდგან ტფილისში ჩამოვიდა გზათა მინისტრის ამხანაგი გენერალ-ლეიტენანტი პეტროვი. სადგურზედ გენერ.-ლეიტ. პეტროვს ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოხელენი დაჰხვდნენ. იმავე საღამოს ბ-ნი პეტროვი ყარსის რკინის გზაზედ წავიდა ამ გზის დასათვალიერებლად.

*** ამ დღეებში ქალაქის გამგეობა იმ კომისიასთან ერთად, რომელსაც ბაღების გაშენება აქვს დავალებული, დაათვალიერებს ავლაბარში იმ ადგილს, სადაც ბაღის გაშენებას აპირებენ.

*** ქუთაისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილების სესსიამ 21 სექტემბერს განიხილა ბათუმში საქმე შტაბს-კაპიტანის სოლოვცევისა, რომელსაც ის ბრალი ედებოდა, რომ ვაჩნაძის მოკვლა განიზრახაო. სესსიამ სოლოვცევი გაამართლა.

*** დღეს, 24 სექტემბერს, ტფილისში ჩამოვა სავაჭრო და სამანუფაქტურო დეპარტამენტის დირექტორი ვ. ი. კოვალევსკი. ხვალ, 25 სექტემბერს, ბ-ნ კოვალევსკის თავ-მჯდომარეობით ტფილისის სახაზინო პალატის სადგომში კრება ექმნებათ ამიერ-კავკასიის სახაზინო პალატთა გამგეებს. კრებაზედ, სხვათა შორის, ლაპარაკი იქნება ახალის გადასახადის შემოღების შესახებ.

*** აზრადა აქვთ დააარსონ ტფილისში გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა. გაზეთ „კავკასის" სიტყვით დამაარსებელთ უკვე მიართვეს თხოვნა ტფილისის საგუბერნიო ადმინისტრაციას.

*** გაზ. „ახ. მიმ." სიტყვით ზარადა აქვთ შუამდგომლობა აღძრან იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნას ქალაქის საყასბოს გამგეს თანამდებობა. ამ ჟამად, როგორც ვუწყით, ქალაქებში საყასბოებს განაგებენ სა.

## ფელეტონი

### წერილები ინგლისიდგან

(საკუთარის კორესპონდენტისა)

### ინგლისის მხატვრობა

III

როზეტტი.—რუსკინი.—მორრისი.

თუ საზოგადოდ შეიძლება ითქვას, რომ ინგლისის მხატვრები სწავლა-განათლებით მაღლა სდგანან სხვა ტომის მხატვრებზე, წარმომადგენელნი ეგრედ წოდებულ preruphet-თა სწორედ რომ გვაოცებენ თავიანთის ნიჭითა, ცოდნითა და მრავალ გვარ და მრავალ ფეროვან ხელოვნებით. სული და გული და წარმომადგენელი ამ მოძრაობისა გახლავთ დანტე როზეტტი, კაცი უნივერსიტეტის სწავლა-განათლებით აღჭურვილი, მცოდნე ფილოსოფიისა და სოციოლოგიისა და წარჩინებული პოეტი... სწორედ რომ ვსთქვათ, როგორც პოეტი როზეტტი უფრო მაღლაცა სდგას, ვიდრე ვითარცა მხატვარი.

როზეტტის მეგობარი, ანუ უკედ რომ ვსთქვათ, მასწავლებელი რუსკინი, რომლის ზედგავლენა აწინდელის ინგლისის ხელოვნებასა და საზოგადო განვითარებაზე დიაღაც რომ ძლიერ დიდია, ამ ჟამად დიდ ავტორიტეტად ითვლება ხელოვნების ისტორიის ცოდნაში და ამავე დროს რუსკინს საპატიო ადგილი უჭირავს სახელოვან ფილოსოფოს-მორალისტთა შორის. მისტერმა გიბინსმა რუსკინს მთელი კარი უძღვნა თვისის წიგნისა, რომელსაც სახელად ეწოდება „ინგლისის სოციალური რეფორმატორები". რუსკინი მართლაც რომ რეფორმატორია: წაიმძღვარა-რა წინ პრინციპები სიმშვენიერისა და სამართლიანობისა, რუსკინმა მიანიჭა საზოგადოებას დიადი მოძღვრება კაცთ-მოყვარეობისა და ამავე დროს ეს მხატვარი მუდამ იცავდა მშრომელისა და ტანჯულ-გვემულის ხალხის უფლებას, ამტკიცებდა დიადის ხელოვნებით, რომ ამ დავრდომილსა და დაჩაგრულს ხალხსაც აქვს უფლება დასტკბეს ცხოვრებით. რუსკინის ხელოვნებას მეტად საზოგადო სოციალური ხასიათი აქვს. ამ ხელოვნებამ უნდა გაასპეტაკოს, გააძლიეროს ცხოვრება და დაამყაროს კაცთა შორის იდეალი სამართლიანობისა. რუსკინის მნიშვნელობა მეტად ძლიერია არა თუ მარტო ლიტერატორთა და არტისტთა შორის, არამედ ინდუსტრიალურ წოდების შორისაც. ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ რუსკინის მოძღვრების მომხრეთა შორის დაარსდა მრავალი ახალშენი და ერთს მათგანს, ამერიკაში, რუსკინის სახელი ეწოდება.

იგივე ელემენტი ურთიერთობისა, ძიება სიმართლისა და სიკეთისა წარმოადგენს ძლიერებასა და სიმშვენიერეს არა თუ ნიჭიერ დო-რაფაელისტებისას, არამედ ინგლისის აწინდელის მხატვრობისასაც. მოხუცი ფილოსოფოსი მხატვარი ვატტეი რომ არ გავიხსენოთ, ეს დიადი მეგობარი და ჭირისუფალი კაცობრიობისა, საკმარისია ვსთქვათ, რომ მეორე ხარისხის მხატვრები კერკომერი, მოშელესი, ვალტერ კრანი და სხვები გამსჭვალულნი არიან კაცთმოყვარეობის მოძღვრებით. რომ არც-კი იცოდეთ იმათი ბიოგრაფია, იმათი კერძო ცხოვრება, საჭიროა ჰნახოთ იმათი სურათები და სურათები გეტყვიან, რომ ეს მხატვრები ფაქიზის ზნეობის კაცნი არიან, მამულიშვილნი, რომ გული სტკივათ ჩაგრულდევნილ ხალხისათვის. მოშელესი და განსაკუთრებით ვ. კსენი თვისის მოქმედებითაც ამტკიცებენ ამას. როგორც ყოველთვის, იტალიაში მომხდარმა უბედურებამ ინგლისელთა შორის დიდი თინაგრძნობა გამოიწვია; დაარსდა საზოგადოება უბედურ მსხვერპლთა სასარგებლოდ. ამ საზოგადოების დამაარსებელ ოც წევრთა შორის არიან ვატსონი, ვ. კრენი და მოშელესი. მაგრამ აქვე უნდა ვსთქვათ, რომ ეს ხასიათი საზოგადო თვისებაა ეხლანდელ ინგლისელთა. რომელ დასსაც უნდა ეკუთვნოდეს ინგლისელი, იგი უპირველეს ყოვლისა უნდა იყოს კარგი კაცი და კარგი მოქალაქე. ვერც ერთი დასი ვერ დაიფარავს და ვერ დაიცავს ადამიანს, თუ ცუდი რამ საქციელი გამოქვეყნდა ან იმის კერძო ცხოვრებიდგანა და ან საზოგადო მოღვაწეობიდგან. ამას ამტკიცებს საქმე არქიმილიონერის ხულეისა, რომელშიაც გაებნენ ლორდები, ჟურნალისტები და სიტის მოღვაწენი. ეს საქმე პანამას საქმეს წააგავს. მაგრამ ამაზედ შემდეგ მოგახსენებთ. ვიტყვი მხოლოდ, რომ ამ საქმის გარჩევა ძლიერ განირჩევა საფრანგეთის წეს-წყობილებისაგან. თუ რუსკინი ამ მოძრაობაში ფილოსოფოსს წარმოადგენს, დანტე როზეტტი, ბენ-ჯონსი და ერთს დროს მილე ამ მოძრაობის გამომხატველნი არიან, ვილიამ მორრისი საუკეთესო და უძლიერესი მოძღვარი იყო ამავე მოძღვრებისა. საოცარი, მრავალ-ფეროვანი და თავისებური ნიჭი უდგავდა სულს ამ ადამიანსა. ევროპაში ჯერ კარგად არ იცნობენ მორრისს. მაგრამ ადრე თუ გვიან იგი საპატიო ადგილს დაიჭერს ხელოვნებისა და საზოგადო რეფორმების მსოფლიო ისტორიაში. ნასწავლი არქეოლოგი, წარჩინებული პოეტი *), თამამი რეფორმატორი მორისი ამავე დროს ოსტატიც იყო, როგორც ბანვენუტო ჩილანუსი, და მაღალი ხელოვნება გვერდთ ამოუყენა ხელობას. მორისის თხზულებას რომ კითხულობს კაცი, სწორედ რომ სახტადა ჰრჩება სალისა, სიცოცხლით სავსე გრძნობის ძლიერებითა, სიყვარულით ყველა არსებისა და განსაკუთრებით კაცისადმი. თუ არა ვსცდები, ეს ერთად ერთი პოეტია, რომელიც ოცნებობს, სამოთხე ყველასათვის იყო აქვე, დედამიწაზეო —მორისის საუკეთესო პოემასაც სახელად ეწოდება „სამოთხე დედამიწაზე". მორისის პოეზიაში ვერ შეჰხვდებით სუსტის რეფლექსიის გამხრწნელს ჩივილსა და გოდებას. პატარა მოთხრობაში, რომელსაც სახელად ეწოდება „ამბები არსაიდგან", მორისმა დაგვიხატა საუცხოვო სურათები მომავალის ჯან-საღისა და განათლებულის კაცობრიობისა. სიყვარულისა და შენდობის მაღალმა გრძნობამ გააბედვინა მორისს დაეხატა სურათი, როგორა სწუხან განვითარებულ და ერთურთის სიყვარულით გამსჭვალულ საზოგადოებაში კაცის მკვლელზე

*) ტენისონის სიკვდილის შემდეგ მორრისა სთხოვეს მიეღო საპატიო სახელი „დაფნის გვირგვინით დამშვენებულის" სასახლის პოეტისა, მაგრამ უარი განაცხადა.

სანიტარო-სამკურნალო ინსპექტორები.

⁂ იმავე გაზეთის სიტყვით, ამ ჟ მად ტფილისის ერთ-ერთს სტამბაში იბეჭდება ცალკე წიგნებად ქართულ ენაზედ თარგმნილი პატარ-პატარა მოთხრობები და ამბები ევროპიულთა საუკეთესო მწერლებისა, როგორც მაგალითად, ალფონს დოდესი, გიუ დე-მოპასანისა, მატილდა სერაოსი და სხვათა. პირველ წიგნში ცხრა მოთხრობა იქმნება მოთავსებული.

⁂ გაზ. „Нов.“ სწერს, რომ მთავრობას აზრადა აქვს 1899 წელს დააარსოს მეღვინეობის სკოლები კავკასიასა და თურქესტანში.

⁂ გაზ. „ტფ ფურ.“ სიტყვით, ფინანსთა სამინისტრომ გარდასწყვიტა მომავალის წლიდგან გაამრავლოს მოსამსახურეთა რიცხვი სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში.

⁂ გაზ. „კავკას“-ს სწერენ ზუგდიდიდგან, რომ საგუბერნიო ადმინისტრაციის მიერ აღძრული შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ეპატიოს ზუგდიდს ამ ქალაქზედ დარჩენილი გარდასახადი, მთავრობამ შეიწყნარა.

⁂ იმავე გაზეთის სიტყვით ამ დღეებში ქ. გორის წარმომადგენელთა კრებამ მოისმინა ტფილისის გუბერნატორის წინადადება 3,500 მანეთის გადადების შესახებ ადგილობრივის პოლიციის გასაძლიერებლად.

⁂ „მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს უწყება“-ში დაბეჭდილია ზოგიერთი ცნობა ღვინის მოსავლის შესახებ კახეთში 1897 წელს. როგორც ამ ცნობებიდგანა სჩანს, კახეთში სულ 14,360 დესეტინა ვენახია. 1897 წელს ღვინის მოსავალი 777,000 ვედრას აღემატებოდა, რაიცა დესეტინაზედ, ორთა შუა რიცხვით, 54 ვედრო მოდის. ვედრო ორთა შუა რიცხვით 2 მანეთი რომ ვიანგარიშოთ, 1897 წლის მოსავალი ჰღირდა სულ 1,554,000 მანეთი, აქედგან ერთს დესეტინა ვენახს 108 მანეთი მოუცია. ამ ფულს უნდა დაუმატოთ 30,000 მანეთი ჭაჭის ფულიც. ამ რიგად მთელი მოსავალი ღირებულა 1,593,000 მანეთი. ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი ღვინო გაყიდულა 1898 წლის პირველ იანვრამდე, შეკრებილ იქმნა მარტო თელავისა და თიონეთის მაზრებში და სიღნაღის მაზრის დასავლეთ ნაწილში. ამ ადგილებში გაუყიდნიათ 1898 წლის 1 იანვრამდე სულ 180,370 მანეთის ღვინო. 1897 წელს სეტყვისაგან დაზარალებულა 3,378 დესეტინა, ფულად ეს ზარალი 336,330 მანეთს შეადგენს.

⁂ საშური. 23 სექტემბერს ღამის 12 საათსა და 30 წუთზედ, იმ დროს, როდესაც მატარებელი სადგურიდგან მიდიოდა, გორის მაზრის სოფ. ქვემოხეთის მცხოვრებელი ზაქარია ბატამე მატარებელზედ აპირებდა შესვლას, მაგრამ მატარებლის ქვეშ ჩავარდა და ფეხი მოიტეხა. დაშავებული ტფილისის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

⁂ გაზეთ „Черн. В.“-ის სიტყვით 21 სექტემბერს ჩაქვაში მოკლულ იქმნა ჩაქვის საუფლისწულო მამულის დარაჯი მუსტაფა გორგილაძე. მკვლელი სადღაც დამალულა.

## მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის საქართველოს ეგზარხოსის ფლაბიანეს მოგზაურობა კახეთში.

13 სექტემბერს, ნაშუადღევს, ყოვლად უსამღვდელოესი ფლაბიანე, რომელსაც ახლდნენ თან თავად აზნაურობის წინამძღოლი თ. მაყაშვილი, მაზრის უფროსი ბ-ნი განსევიჩი, ბლაღოჩინი დეკანოზი მ. ხელაშვილი, სამრევლო საეკკლესიო სკოლების ზედამხედველი მ. ნიკოლოზ ჯაჯანიძე და სხვა სასულიერო და საერო წოდებისანი გაემგზავრა ალავერდისაკენ. პირველსავე სოფელში —ვარდისუბანში დაათვალიერა სამრევლო ეკკლესია და სკოლა. გამოსცადა მოსწავლენი, კმაყოფილი დარჩა საღმრთო სჯულის მასწავლებლისა მღ. ტაბლიევისა და სხვა საგნების მასწავლებელისა და მადლობა გარდაუხადა. აქედგან რუისპირის ეკკლესია დაათვალიერა და საღამოს ლოცვის დროს მიბრძანდა ალავერდს. იქ, ტაძრის დათვალიერების შემდეგ, დაიწყო დაუჯდომლით ლოცვა. მლოცველი ბრძანდებოდა მათი ყოვლად უსამღვდელოესობა ალავერდის ეპისკოპოსი კირიონი. ჭალოსა და თელავის სასულიერო სასწავლებლის ქართულ-რუსული მგალობელთა გუნდი ბ-ნ ნიკოლოზ სულხანიშვილის ლოტბარობით. ალავერდის ტაძრის ხმის მოცემა აორკეცებდა და ამშვენებდა გალობასაც, მშვიდობიანის და ასამაღლებელის წარმოთქმასაც.

14 სექტემბერს მათმა მეუფებამ ფლაბიანემ და ეპისკოპოსმა კირიონმა სწირეს. წირვაცა და ლოცვაც დიდებული იყო. თითქოს განგებას ამ ტაძრის დასამშვენებლად შეუქმნია, მთავარ-დიაკვანი კ. გარგარეთელი, ისე უხდებოდა მისი სასიამოვნო მაღალი ხმა ამ ტაძრის სიდიადეს. აგრეთვე მშვენივრად იგალობა ქართულადაც და რუსულადაც სასულიერო სასწავლებლის მგალობელთა გუნდმა. წირვაზედ წინა დღეს მთავრად ნაკურთხი აკურთხეს მღვდლად და ერთს ახალგაზდა მღვდელს იროდიონ შავლისშვილს უკურთხეს სამღვდლო ენქერი.

ალავერდს მრავალი ხალხი იყო მოსული. მრავალი ყველი და თუშური ქუდი იყო გასასყიდად მოტანილი, აგრეთვე ერბო, შინაური პირუტყვი და სხვა სოფლის ნაწარმოები. მთიდამ ჩამოსულიყვნენ ფშავ ხევსურნი, თუშები და ქისტები, ინგილოდგან ინგილონი და კახელ-ქიზიყელნი. ყველას თავისის ნაწარმოების სხვაზედ გადაცვლა უნდოდა. აქავე იყვნენ უცხო ქვეყნის შვილები სამეცნიერო აზრით მოგზაურნი ბარონი დე ბაი და სხვ., რომელნიც სურათებს იღებდნენ მთიელებისას, სწერდნენ ჩაცმულობას და ყიდულობდნენ კიდეც მთიელ ქალების ზოგიერთ მოსართავს.

აქ განზრახ მოვიხსენიე მოკლედ ალავერდობას შეკრებილ ხალხის ვინაობა და მოსვლის საგანი. ხშირად სცდებიან ჩვენებიც და უცხონიც, როცა ალავერდობას შეკრებილ ხალხს სარწმუნოებრივ გრძნობის ნაკლებულობას უზრახავენ. უნდა იცოდნენ, რომ ალავერდობა ჯერ ბაზრობაა და არა შეკრება მლოცავებისა სატაძრო დღესასწაულ დღეს. ეს მნიშვნელობა ჰქონია წინადაც და ექმნება იმ დრომდე, ვიდრე მთებში კარგი გზები არ იქმნება გაყვანილი და იქაც არ გაიდგამს ვაჭრობა ფესვს. სწორედ ალავერდობა ის დროა, როცა ყველა ნაწარმოები ხელში აქვს სოფლელს ბარელსაც და მთიელსაც და როცა ამ ნაწარმოების გარდაცვლა შესაძლებელია. ბარელს უნდა: ერბო, ყველი, საკლავი, მატყლი ქუდი და სხვ. მთიელს უნდა: ხახვი, ნიორი, ჭრელი წინდა-პაჭიჭი, ჩახსაკრავი, ღვინო, არაყი, საფართლო, ჭურჭელი და სხვ. ყველა ამის გასაღებ-შეძენაშია ხალხი. ამისათვის ზრუნვა შიგ ტაძარშიაც შეაქვს, თუ-კი შევიდა. ამიტომ ის მოწიწება არ ეტყობა არც ტაძარში და არც ტაძრის გარეთ, რაგორის მოწიწებითაც ის სხვა დროს არის. ვინც ამ მხრივ არ დაუკვირდება, იგი ბევრს ნაკლს შეუწამებს აქ მოსულთ მთიელ-ბარელებს.

წირვის შემდეგ მათი მეუფების ალავერდის ეპისკოპოსის სადილზედ ბრძანდებოდა მაღალყოვლად უსამღვდელოესი ფლაბიანე, მათთან თელავიდგან წამოსულები... და... აქვე დაესწრო ბ-ნი აკაკი და თ. ბაგრატიონი. წირვის შემდეგ ზოგნი გამოეთხოვნენ, მიიღეს მღვდელ მთავრული ლოცვა-კურთხევა და წავიდნენ. მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა ძალიან კმაყოფილი დარჩა მგალობელთა გუნდისა, გამოსთქვა აზრი, რომ სასულიერო სასწავლებლის მგალობელთა გუნდი არაფრით არ ჩამორჩება ჩემს მგალობელს გუნდსაო. ლოტბარს ბ-ნ ნიკოლოზ სულხანიშვილს დიდი მადლობა უბრძანა.

საღამოს 5 საათზედ მათი ყოვლად უსამღვდელოესობა გაემგზავრა სოფ. ქ სტაურისაკენ, გზა და გზა ეკკლესიები დაათვალიერა და მიბრძანდა თავ. კიაზო ერისთავისას, რომელმაც წინათვე სთხოვა, მისას დარჩენილიყო ერთს ღამეს. აქ კნეინა ანნა ერისთავისა შეეგება მათ ყოვლად უსამღვდელოესობას დაახლოვებით შემდეგი მოკლე სიტყვით ქართულს ენაზედ: „კახეთის თავად-აზნაურობა დიდის სიხარულით და სასოებით მოგელოდდით, თქვენო მეუფებავ, და ეს მოლოდინი იყო არა ჩვეულებრივი: ჩვენ მოგელოდდით, როგორც ვასილი დიდსა და იოანნე ოქროპირსა. დარწმუნებულნი ვართ, თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობავ, რომ ისევე განაახლებთ და აღორძინებთ ჩვენს ქვეყანაში ქრისტეს სწავლას, როგორც ვასილ დიდი და იოანე ოქროპირი, და ისევე განამტკიცებთ სარწმუნოებას, როგორც ანდრია პირველ-წოდებულმა დაამკვიდრა და განამტკიცა იგი საქართველოსა და რუსეთში.“

15 სექტემბერს, დილით, დიდად ნასიამოვნებმა თავ. ერისთავის მასპინძლობით მისი მეუფება წამობრძანდა ქისტაურიდგან აწყურისაკენ. ხოდაშენში დაათვალიერა ეკკლესია, რომელშიაც მშვენიერის სიტყვით შეეგება მ. სპირიდონ მთვარელიშვილი. 9 საათზედ მობრძანდა ს.

---

ძლიერ იმისი მეგობრები და მეზობლები და როგორ ანუგეშენ მას... მორისი გვეუბნება, რომ შრომა, განსპეტაკებული მეცნიერებისა და ხელოვნების მიერ, ჰქმნის და დაამყარებს ისეთს ზნეობრივს პირობებს, რომელთა წყალობით კაცობრიობა განახორციელებს სიმართლისა, სიყვარულისა და ბედნიერების იდეალებს. მორისი მთელ თავის სიცოცხლეში სცდილობდა გამოეყენებინა საუკეთესო ფორმები ხელოვნებისა ლამაზის ავეჯისა, სამკაულისა, წიგნებისა და სხვა ამგვარ ნივთების გამშვენიერებისათვის. მორრისისა და იმის მიმდევართა ნაწარმოები ძლიერ ძვირად ფასობს და მის მიერ გამოცემულს წიგნს საბა სულხან ორბელიანისას „სიბრძნე სიცრუისას“, ვარდროპის მიერ თარგმნილს, ძლიერ ძვირ ფასად იტაცებენ ლიტერატურის მოყვარულნი.

## წლიური დღესასწაული კოოპერატორებისა

ლონდონის სამხრეთის მხარეს, მაღალ ფერდოებზე გადაჭიმულია უზარმაზარი შენობა, აგებული რკინისა და მინისაგან, რომელსაც სახელად ეწოდება ბროლის სასახლე. თვით ამ სასახლესა, ბაღებსა და გამოფენებისათვის შენობებს სოლოლაკის ოდენა ადგილი უჭირავთ, ქალაქის საბჭოს სახლი და შტაბიც რომ მივუმატოთ. ბროლის სასახლე ინგლისელებისათვის საყვარელი ადგილია. ამ სასახლეში მოთავსებულია სახალხო მუზეი, ყველა ქვეყნების და ყველა დროის ხუროთ-მოძღვრების ნიმუშები, ნიმუშები ეტნოგრაფიისა, სხვა-და-სხვა მრეწველობისა, სურათები, აკვარიუმები, განყოფილება ზოოლოგიისა, თეატრი, საკონცერტო დარბაზი... და ყველა ისე უზარმაზარია, რომ თუ კაცს არ უნახავს, ვერც-კი წარმოიდგენს. თქვენ თითონ იფიქრეთ: ერთს საკონცერტო დარბაზში წარსულ შაბათს 7 ათასი კაცი მარტო მემუსიკე იყო!

ამ უზარ-მაზარ შენობასთან სამთავე მხრიდგან რკინის გზის სამს მატარებელს საათში ოთხჯერ შეჰყავს აუარებელი ხალხი. ხუთშაბათობით აქ მუშხუნებს უშვებენ და ამ დღეს ამ სასახლეში მიდის ხოლმე 50—80 ათასი კაცი. ხოლო დიდ დღესასწაულის დღეს 150 ათასი კაციც მოსულა. წარმოიდგინეთ, რა მუშაობა და ვაჭრობა უნდა იყვეს აქაურ სახაიებსა და რესტორანებში.., ყველაზედ ძლიერ ის აკვირვებს უცხოეთიდგან მოსულ ხალხს და განსაკუთრებით პარიჟიდგანა და ბერლინიდგან, რომ ამოდენა ხალხში პოლიცია სრულებით არა სჩანს. ამოდენა ხალხში სულ 25 ან იშვიათად 40 პოლიციელია, ისიც მხოლოდ შესავალ ადგილებსა და კიბეებთან, რათა ხალხს უჩვენონ შესასვლელ-გამოსასვლელი ადგილები.

აი ამ ბროლის სასახლეში გაიმართა კოოპერატორთა მწარმოებელ ამხანაგობათა ნაწარმოების გამოფენა. დაიხსომეთ, მხოლოდ მწარმოებელ ამხანაგობათა. მომხმარებელთა კოოპერაციები დიდი ხანია არსებობს აქ და ფეხი მოიკიდა თითქმის მთელის ინგლისის მუშათა და გლეხთა შორის. ეს ამხანაგობანი წელიწადში ვაჭრობენ 400 მილიონ მანათზე მეტს; ამხანაგობებს აქვთ უზარმაზარი საწყობები, პლანტაციები ამერიკაში, ინდოეთში და სხვაგან; აქვთ საკუთარი ფლოტი, 12 დიდ გემისაგან შემდგარი და სხვ. მომხმარებელ კოოპერაციების შესახებ მთელი ტომები უნდა დაიწეროს. ეხლა მხოლოდ მწარმოებელ კოოპერაციებზე მოგახსენებთ.

დაწყებული რობერტ-ოვენიდგან, რომელიც კოოპერაციების დამაარსებელად ითვლება, ბევრჯერ ეცადნენ მწარმოებელ კოოპერაციების დაარსებას ინგლისსა და სხვა ქვეყნებში მაგრამ ეხლანდელი მოძრაობა ინგლისში სულ ახალი საქმეა. მწარმოებელი კოოპერაციები დაარსდა ინგლისში 80 წლებში და საოცრად გაიმარჯვეს. რიცხვი მწარმოებელ კოოპერაციებისა იყო.

| წელი | ამხანაგობათა რიცხვი | თანხა |
| --- | --- | --- |
| 1883 — | 15 — | 1.034.360 მ. |
| 1893 — | 108 — | 6.398.840 მ. |
| 1897 — | 169 — | 11.809.060 მ. |

| წელი | ნავაჭრი | მოგება. |
| --- | --- | --- |
| 1883 — | 1.607.510 მ. | 90.310 მ. |
| 1893 — | 12.926.880 მ. | 676.630 მ. |
| 1897 — | 27.143.460 მ. | 1.375.060 მ. |

მკითხველი თითონა ხედავს, როგორ გაძლიერდა კოოპერაციები სულ 15 წლის განმავლობაში. სასურველია, რომ გულ-წრფელი კაცი არ ენდოს კაპიტალიზმის პეტერბურგელ თაყვანის-მცემელთ, რომელნიც წინასწარმეტყველობენ და ქება-დიდებას ასხავენ ერის საერთო გაღატაკებას. თუ კი ინგლისის კაპიტალისტებმა, რომელთაც საგანგებო კავშირი დააარსეს კოოპერატორთა წინაამდეგ საბრძოლველად, ვერ შეაფერხეს ზრდა მომხმარებელ ამხანაგობათა, რომელთა წლიურ ანგარიშმა მიაღწია 400 მილიონ მანათს, მაშ რას გახდებია რაზუვაევები და ქივოლდერები, ან ადგილობრივი უმეცარი ჩარჩები და როგორ დაამარცხებენ პატიოსან და განათლებულ კაცებს, რომელთაც ჰსურთ იმოქმედონ ხალხში მისდა სასარგებლოდ და მტაცებელთა და ქვეყნის ამაოხრებელთა საწინააღმდეგოდ.

რომ იცოდეთ, როგორა მსურს, რომ ისინი, ვინც ხალხს უწოდებენ „კაპიტალიზმის შესასწავლად“, მოიყვანა ვინმემ ამ გამოფენაზე, დაანახვა კოოპერატორების დღესასწაული, გართობა და სიხარული იმათის შვილებისა. მსურს დაინახონ ათი ათას ბავშვების მშვენიერი, გახარებული სახე, მოისმინონ გალობა 7000 მგალობელთა, რომელნიც ისე მწყობრად გალობენ, როგორც მწყობრად და ერთობით მუშაობენ თვითონ, მათი მამები, დედები, დები და ცოლები მინდვრად, ქარხნებში, საკოოპერაციო დუქნებში, Trades—Union-ს კავშირებში, —და მაშინ.. იქმნება მაშინ მაინც შერცხვეთ თავისის უვიცობისა და გულ-ჩათხრობილ ეგოიზმისა და მოიწვიონ ინგლისის მრავალ მილიონ კაცთაგან შემდგარ კოოპერატორთა და ტრედ-უნიოსტთა ყოფა-ცხოვრების შესასწავლად.

და ეს დიდი სიკეთე იქმნებოდა, ვინაიდგან შორეულ მომავალის გათვალისწინებას რომ თავი დავანებოთ, შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ მწარმოებელ და მომხმარებელ საურთიერთო საზოგადოებათა დაარსება წარმოადგენს ერთს ცხოვრების უპირველესსა და უსაჭიროესს მოთხოვნილებას.

ვ. მარველი

აწყურის სამრევლო ეკკლესიაში, სადაც მღ. ალადაშვილმა შესაგებებელი სიტყვა მოახსენა. აქ განიხილა დეკანოზის პეტრე კონჭიაშვილისაგან შეწირული სახარება, რომლის მდიდარმა, მშვენიერმა შექედულობამ მათის მეუფების ყურადღება მიიქცია. აქედგან აბრძანდა თეთრ-გიორგში, სადაც დაჰხვდა წინამძღვარი ამ ეკკლესიისა, ეპისკოპოსი ალავერდისა კირიონი. ეკკლესიის დათვალიერების შემდეგ მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესი ფლაბიანე და ეპისკოპოსი ალავერდისა სხვა თანამგზავრებით წაბრძანდნენ აწყურის ორ-კლასიან სკოლის დასათვალიერებლად. გამოსცადეს მოსწავლენი ორივე განყოფილებისა სუყველა საგნებში და აღმოჩნდა, რომ საღმრთო სჯულის ცოდნით სუსტნი იყვნენ.

მაღალ ყოვლად უსამღვდელოესმა ფლაბიანემ, როგორც სხვა სასწავლებლებში, აქაც თავისის ხელით ჯვრები დაურიგა მოსწავლეთ. შემდეგ იგემოვნა ამ სკოლასთან არსებულ საბაღოსნო განყოფილების ნაყოფი: ნესვი, ვაშლი, მსხალი, ყურძენი და სხ. და წაბრძანდა ს. იყალთოს პირდაპირ ღვთაების ტაძრისაკენ, რომელიც დაარსებულია ზენონ იყალთოელისაგან და სადაც ერთს დროს არსებობდა აკადემია.

ნადიკვრელი

(დასასრული იქნება)

## წერილი რაჭიდგან

წელს რაჭაში სხვა წლებთან შედარებით ნაკლებად ჭირნახული მოვიდა. პურები ჩაილეწა, მაგრამ ისეთი გამოსავალი არა ჰქონდა, როგორსაც ველოდით, სიმინდებს ხომ ნუღარ იკითხავთ, სულ ერთიანად აიხუხა უტაროოდ. ეს ათი კვირა შესრულდა, რაც აქეთკენ რიგიანი წვიმა არ მოსულა. გვალვამ არც ყურძენს დააყარა ხეირი; იგი ბევრგან გაახმო და რაც გახმობას გადარჩა, ისიც ისე გაწვრილდა, რომ კრიკინას დაემსგავსა. რაჭველ გლეხს ღვინის მოუსავლობა ძლიერ აწუხებს, რადგანაც იგი სტუმართ-მოყვარეა და სტუმარს ყოველთვის გულ უხვად დაუხვდება, თუ გინდ მჭადის ნატეხიც არ ეშოვებოდეს შინ, როცა კი ღვინო აქვს სახლში. მაგრამ თუ ღვინო არა აქვს, მაშინ რა ჰქნას საწყალმა, როგორ გაჰბედოს სტუმრის სახლში შეპატიჟება?

წელს ქ. ქუთაისიდგან ოსეთის საზღვრამდე საფოსტო გზატკეცილის ზომვა გაათავა გზის მკეთებელმა. როგორც ამბობენ, ორი საჟენი კიდევ უნდა მოემატოს სიგანე ეხლანდელ გზასაო. თუ ეს ხმები გამართლდა, რაღა თქმა უნდა, რაჭველთათვის ეს დიდი საქმეა მით უმეტეს, რომ ეხლანდელი გზა ალაგ-ალაგ ისე ვიწროა, რომ ორი ურემი ერთმანეთს გზას ვერ უქცევს. გზის სივიწროვის გამო მრავალჯერ გადავარდნილა და დამსხვრეულა აქ ეტლები და ურმები.

ვანო ჭიჭინაძე

## წერილი განჯიდგან.

აქ ქართველთა რიცხვი დღითი დღე ჰმატულობს. სხვა-და-სხვა მოხელეთა გარდა, აქ ქართველი მუშებიც ბევრია, რომლებიც იმერეთიდგან ჩამოდიან და უმეტესად-კი ქიზიყიდგან. აქ ძვირად ჰნახავთ ისეთ ვენახს და ბაღს, რომ ან ქიზიყელი არ იყოს იქ და ან იმერელი. განჯიდგან ათი ვერსის მანძილზედ მდებარე გერმანელთა ახალშენ ელენონდორფში ხომ თითქმის სულ ქიზიყელი მუშები და მებაღენი არიან. გერმანელთ ისე მოსწონთ ქართველი მუშები, რომ მზად არიან მეტი ქირა მისცენ, ოღონდ ისინი იყოლიონ. როცა რომელიმე ქართველი მუშა შინ წასვლას დააპირებს, ვენახის პატრონი გერმანელი არა თუ სინიდისიერად უსწორდება, არამედ მეტსაც აძლევს, რა არის, ისევ დაბრუნდეს ჩემთანო. ესევე არ ითქმის აქაურ სომეხ მემამულეებზედ, მაგრამ ამის შესახებ შემდეგ.

ეხლა ორიოდე სიტყვა რკინის გზის მუშების შესახებ: დღეში თითო მუშას ეძლევა ქირა 50—80 კ.; სამუშაო დრო არის ათი საათი; თუ მუშამ მეტი იმუშავა ერთი-ორად მიიღებს ქირას. აგრეთვე მეტი ეძლევა კვირა-უქმე დღეს და ღამე მუშაობისათვის. რკინის გზის სამუშაოს ქართველი მუშები ერთობ ეტანებიან,— თუმცა-კი აქაურს ჰავას ყველა ვერ უძლებს; ზოგი დასნეულებული მიდის შინისკენ და ზოგიც აქვე ესალმება წუთი სოფელს.

ამას წინად აქ ჩამოვიდა ქიზიყის სოფელ ქვემო-მაჩხაანიდგან გიორგი ნარინდაშვილი და დაიწყო მუშაობა რკინის გზის დეპოში იმ იმედით, რომ ცოტა რამ მოეგროვებინა და გაეხარებინა შინ დატოვებული ცოლ-შვილი, მაგრამ საწყალს იმედი გაუცრუვდა; დაიწყო ავადმყოფობა და წარსულ მარტში კიდეც გარდაიცვალა. სულ იმას იძახოდა საბრალო, რომ ორიოდე გროში მაინც დამრჩენოდა და ცოლშვილისათვის გამეგზავნა ჩემს მაგივრადაო. ამ უკანასკნელის სურვილის ასრულება მისმა ამხანაგებმა, ქართველმა მუშებმა იკისრეს: ხელის მოწერა გამართა ქიზიყელმა აბრამა ბოლაშვილმა და, როგორც ამბობენ, ექვს თუმნამდე შეაგროვა. გავიდა ხანი და რადგანაც ბოლაშვილს ფული არ გაეგზავნა დანიშნულებისამებრ, დეპოს ერთმა მოხელემ, ბ-ნ ლეჟავამ მოაგონა, რატომ ფულს არ ჰგზავნიო. ბოლაშვილმა უპასუხა, რომ ამ ორ დღეში მე თითონ მივდივარ სოფელში და გადავცემო; თუ არ მენდობი, შენი მანეთი უკანვე წაიღეო, უთხრა და მართლაც დაუბრუნა მანეთი. ბ-ნ ლეჟავამ ეს იწყინა და ყველაფერი ამ საქმის შესახებ დეპოს უფროსს აუწყა. უფროსმა დაიბარა ბოლაშვილი, რომელმაც განაცხადა, რომ მე 60 მანეთი-კი არა 35 მ. მოვაგროვე და კიდეც გავგზავნეო. აქ ეჭვის თვალით უცქერიან ბოლაშვილის საქციელს: ჯერ ერთი ისა, რომ მეტი უნდა იყოს მოგროვილი ფული და მეორე,—ვინ იცის, გაჰგზავნა, თუ არა. მე მოვთხოვე შემომწირველთა სია, მაგრამ დამეკარგაო, მითხრა ბოლაშვილმა.

შემდეგისთვის რომ გული არ აიცრუონ აქაურმა ქართველობამ ამგვარს საქველ-მოქმედო საქმეზედ, საჭიროა ეს საქმე გამოირკვეს. ამიტომ ვსთხოვ ს. ქვემო-მაჩხანელთ, ვინც იცნობს გიორგი ნარინდაშვილის ქვრივს, გაგვიგოს და შეგვატყობინოს გაზეთის საშუალებით, ანუ კერძოდ: მიიღო თუ არა რამე აბრამა ბოლაშვილისაგან გიორგი ნარინდაშვილის სახლობამ და თუ მიიღო —რამდენი? ჩვენი ადრესი: ст. Елисаветполь С. Долидзе. ბ-ნს ბოლაშვილს-კი ურჩევთ, მონახოს სია შემომწირველთა, რაც მოაგროვა სრულად გაჰგზავნოს და ამითი აიცილოს თავიდგან მითქმა მოთქმა და ლაპარაკი.

ს. დოლიძე

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ყველა დაწინაურებულ სახელმწიფოს უმთავრეს საზრუნავს ამ ჟამად სწავლა-განათლების გავრცელება შეადგენს. ბევრს სახელმწიფოში უკვე კარგა ხანია რაც შემოღებულ იქმნა სავალდებულო სწავლება, ე. ი. მშობლები ვალდებულნი არიან შვილები უეჭველად მიაბარონ სასწავლებელში. თუ არ მივიღებთ მხედველობაში ჯარსა და ფლოტს, სახელმწიფოები სხვას არაფერს არ ანდომებენ იმდენს ფულს, რამდენსაც სწავლა განათლების საქმეს. ამისდა მიუხედავად, დღეს ყველგან, დიდად განათლეაულ სახელმწიფოებშიაც-კი, სჩივიან და გაიძახიან, რომ მთავრობა სწავლა-განათლებას შესაფერს ყურადღებას არ აქცევს, ამ საქმეს იგი მცირე ფულს ანდომებსო. საზოგადოდ, ყველგან მოწადინებულნი არიან, რომ სწავლა-განათლების საქმე ერთი-ორად და სამად უკეთ მოაწყონ, ვიდრე ამ ჟამად არის მოწყობილი. აი, სწორედ ამიტომ მიეგებნენ აღტაცებითა და სიხარულით რუსეთის იმპერატორის წინადადებას იარაღის აყრის შესახებ. ყველას იმედი მიეცა, რომ ამ წინადადების განხორციელების შემდეგ ის უთვალავი ფული, რომელიც დღეს ჯარისა და ფლოტისათვის მიდის, სწავლა-განათლებას მოჰხმარდება და რამდენისამე ხნის შემდეგ ევროპასა და ამერიკაში კაცი არ იქმნება, რომ წერა-კითხვა მაინც არ იცოდესო. ყველაზედ ბევრ ფულს საერო განათლების საქმეს ანდომებენ ის სახელმწიფოები, სადაც ჯარი და ფლოტი არა ჰყავთ. ამის შესახებ საყურადღებო სტატისტიკური ცნობებია დაბეჭდილი სტატისტიკოსის ლევასერის წიგნში. ლევასერს მთელი ოცი წელიწადი უკრებია ეს ცნობები. ამ წიგნიდგანა სჩანს, რომ სხვა-და-სხვა სახელმწიფო ერთის კაცის სწავლა-განათლებაზედ ჰხარჯავს:

| | მან. |
|---|---|
| „კანადის პროვინცია მანიტობა | 9,07 |
| ვიქტორია | 6,68 |
| ახალი ზელანდია | 5,74 |
| სამხრეთ ვალლისი | 5,70 |
| ამერ. შეერთებული შტატები | 4,46 |
| საქსონია | 2,46 |
| პრუსია | 2,45 |
| შვეიცარია | 2,43 |
| ინგლისი | 2,36 |
| ჰოლანდია | 1,99 |
| ბელგია | 1,69 |
| საფრანგეთი | 1,66 |
| დანია | 1,52 |
| შვეცია | 1,33 |
| რუმინია | 0,80 |
| იტალია | 0,76 |
| ესპანია | 0.62 |
| პორტუგალია | 0,26 |

ამავე წიგნში მოყვანილია ცნობები იმის შესახებ, თუ სხვა და სხვა ქალაქსა და სახელმწიფოში რამდენი აქვს ჯამაგირი სახალხო მასწავლებელს, მაგალითად:

„ნიუიორკში უფროსს მასწავლებელს 4370 მანეთიდგან 5826 მანეთამდე ეძლევა. იმის თანაშემწეს . . . 1949—3399 მან.

| | | |
|---|---|---|
| ლონდონში | 3783 | „ |
| ავსტრალიაში | 3734 | „ |
| ვიქტორიაში | 3121 | „ |
| შეერთ. შტატ. | 1020—2076 | „ |
| ინგლისში | 946—1419 | „ |
| ჰოლანდიასა და ბელგიაში | 546—780 | „ |
| პრუსიაში | 580—732 | „ |
| საფრანგეთში. | 375—750 | „ |

საფრანგეთსა, პრუსიასა და დანიაში მასწავლებელს ჯამაგირს გარდა ეძლევა სადგომი განათებითა და გათბობით, მიწა, ზოგან ბაღი და საბოსტნე ადგილიც.

1892 წელს შეერთებულის შტატეის მთავრობამ სწავლა-განათლებას 331 მილიონი მანეთი მოანდომა. 1894 წელს იმ ბავშვთა რიცხვი, ვინც პირველ-დაწყებით განათლებას იღებდა 14,846,858-ს აღემატებოდა. საშუალო სასწავლებლებში ამ წელს სწავლობდა 480,358 კაცი, უმაღლესს სასწავლებლებში—203,052 კაცი.

ევროპის სახელმწიფოებში 100 კაცზედ შემდეგი რიცხვი მოსწავლეებისა მოდის:

| | |
|---|---|
| ინგლისში | 18,1 |
| პრუსიაში | 17,9 |
| შვეიცარიაში | 15,6 |
| ნორვეგიაში | 15,2 |
| საფრანგეთში | 14,5 |
| შვეიცარიაში | 14,1 |
| ავსტრიაში | 13,7 |
| ვენგრიაში | 12,4 |
| იტალიაში | 8,2 |
| ბოლგარიაში | 5,2 |
| პორტუგალიაში | 4,7 |

ლევასერის წიგნიდგანვე სჩანს, რომ პირველ დაწყებითი სწავლა სავალდებულოა საფრანგეთსა, შეერთებულ შტატებსა, შოტლანდიასა, შვეიცარიასა, ავსტრიასა, ვენგრიასა, პორტუგალიასა, ესპანიასა, იტალიასა, რუმინიასა, შვეციასა, ნორვეგიასა, იაპონიასა, ახალ ვალისსა, ვიქტორიასა, თასმანიასა, ახალ ზელანდიასა, ახალ-შოტლანდიასა და ონტარიოში.

სახალხო სკოლებში პირველ დაწყებითი სწავლა უსასყიდლოა შეერთ. შტატებსა, კანადასა, მექსიკასა, საშუალო ამერიკასა, ჩილისა, ბრაზილიასა, არგენტინის რესპუბლიკასა, გვიანასა, გვადელუპასა, იტალიასა, პორტუგალიასა, რუმინიასა, ნორვეგიასა, საქსონიასა, ბოლგარიასა, სერბიასა და შოტლანდიაში.

## რუსეთი

—

წელს მოსკოვის უნივერსიტეტში მიღებულ იქმნა სულ 1209 კაცი. უმეტესობა—430, იურიდიულ ფაკულტეტზედ იქმნა მიღებული, 418—ფიზიკო-მატემატიკურ ფაკულტეტზედ, 290—სამკურნალო ფაკულტეტზედ და 71 საისტორიო-საფილოლოგიო ფაკულტეტზედ. უნივერსიტეტში შესვლის მსურველთა რიცხვი გაცილებით მეტი იყო, მაგრამ მთავრობამ ყველას თხოვნა ვერ დააკმაყოფილა: ბევრს უარი გამოეცხადა. გარდა ამისა უნივერსიტეტში 118 კაცი იქმნა მიღებულნი, რომელნიც პროვიზორობაზედ ემზადებიან. წელს მოსკოვის უნივერსიტეტში სულ 4,478 სტუდენტია, შარშანდელზედ 70 კაცით მეტი.

— ამ დღეებში პეტერბურგს დაასრულებენ იმ შენობის შეკეთებას, სადაც დედათა სამკურნალო ინსტიტუტის მოსწავლეთა სადგომები იქმნება გამართული. ეს შენობა სულ 220,000 მანეთი დაჯდა. 100,000 მანეთი ხელმწიფე იმპერატორმა შესწირა. შენობა შესდგება სამის სართულისაგან და შეიცავს 120 ოთახს. პანსიონთან არის წიგნთ-საცავი, სამკითხველო, საბანაო და ლაზარეთი. სასადილო ოთახში 300 კაცი დაეტევა. შენობის ეზოში გამართულია კარგა მოზრდილი მოედანი სათამაშოდ.

— სამხედრო მინისტრის განკარგულებით გადადებულ იქმნა ფული იმათთვის, ვინც აზიისა და აფრიკის გეოგრაფიის კარგ სახელმძღვანელოებს შეადგენს კადეტთა კორპუსში სახმარებლად. აზიის გეოგრაფიის სახელმძღვანელოს შემდგენელს მიეცემა 1050 მანეთი, ხოლო აფრიკისა —350 მან. ავტორებმა სახელმძღვანელოები სამინისტროს 1900 წლის პირველ მარტამდე უნდა წარუდგინონ.

— პეტერბურგში განუზრახავთ ახალი ბიუროს დაარსება, რომელსაც აზრად მხოლოდ ის ექმნება, რომ პეტერბურგის უმაღლეს სასწავლებლის შეუძლებელ მოსწავლეთ შესაფერი საქმე უშოვნოს და ამ რიგად შეძლება მისცეს მათ თავიანთის შრომით გამოიკვებონ თავი.

— ზღვათა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნას განსაკუთრებული სასწავლებელი ზღვაოსანთა შვილებისათვის.

— ამ დღეებში პეტერბურგს მოკვდა შაქრის მკეთებელ ქარხნების პატრონი, ამერიკელი ტომას ლინდლეის. ლინდლეის ქონება 120 მილიონ მანეთს აღემატება. მილიონების პატრონს აზრადა აქვს შეესწავლოს შაქრის წარმოების საქმე ევროპაში. თან ლინდლეის 16 კაცი ახლავს.

## უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** დღემდის ნამდვილი მიზეზი არ იცოდნენ, საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა კაზიმირ პერიემ რად დაანება თავი სამსახურს 15 იანვარს 1895 წ. ახლა, როგორც გაზეთები იუწყებიან, აშკარავდება, რომ ამის მიზეზი დრეიფუსის საქმე ყოფილა.

როგორც იცით, 24 დეკემბერს 1894 წ. სამხედრო სასამართლომ დრეიფუსი დამნაშავედ იცნო. გერმანიის საგანგებო ელჩმა პარიჟში, გრაფმა მიუნსტერმა, ამ საქმის შესახებ კრძალი მოხსენება გაუგზავნა თავისს იმპერატორს. მოხსენებაში დაწვრილებით იყო ნაამბობი—რისთვის დასაჯეს დრეიფუსი, რა სასჯელი გარდაუწყვიტეს, ამ საქმეს ვისთან რა კავშირი ჰქონდა და სხ. მოხსენება ცალკე კონვერტში ჩასდეს, რომელიც სელჩოს ბეჭდით იქმნა დაბეჭდილი და სხვა ოფიციალურ ქაღალდებთან ერთად ბერლინში გაჰგზავნეს გარეშე საქმეთა სამინისტროში. ვიდრე საფრანგეთის საზღვარს გასცდებოდა, ეს მოხსენება ხელში ჩაიგდეს საფრანგეთის მოხელეებმა, მისი პირი გადაიღეს ფოტოგრაფიის შემწეობით, ისევ პაკეტში ჩასდეს და დაუზიანებლივ გზას გაუყენეს; იმპერატორმა თავის დროზედ მიიღო იგი და ვერც გაიგო, რომ მისი პირი გადაღებული იყო.

რამდენისამე დღის შემდეგ ბერლინში სარწმუნო წყაროებიდგან შეიტყვეს, რომ გრაფ მიუნსტერის საიდუმლო მოხსენების ფოტოგრაფიული პირი საფრანგეთის სამხედრო მინისტრის ხელშია. რასა თქმა უნდა, გერმანიის მთავრობა მაშინვე დარწმუნდა, როგორც უნდა მომხდარიყო ეს საქმე. ამისათვის გერმანიის მთავრობამ მისწერა გრაფ მიუნსტერს, რომ შენი საბუთის ქაღალდები გამოართვი საფრანგეთის მთავრობას და პარიჟიდგან წამოდიო, რადგან საფრანგეთის მთავრობის მხრივ ასეთი საქციელი ქურდობას ჰგავს და შეურაცხყოფს პირადად იმპერატორსაო.

1 იანვარს გრაფი მიუნსტერი ელისეს სასახლეში მივიდა პრეზიდენტ კაზიმირ პერიესთან და თავისის მთავრობის ბრძანება გამოუცხადა. პრეზიდენტი ძლიერ გააოცა ასეთმა მოულოდნელმა ამბავმა, რადგან ამ საქმის შესახებ სრულიად არა იცოდა-რა და გამოუთქმელმა მღელვარებამ მოიცო იგი. იმან ბოდიში მოიხადა მიუნსტერთან და პატიოსანი სიტყვა მისცა, უკეთესად დოინვეს ვიღონებ, როგორც პრეზიდენტი, რომ ამისთანა შემთხვევას კვლავ ადგილი აღარ ჰქონდესო. გრაფი მიუნსტერი ამით დაკმაყოფილდა და პრეზიდენტს შეჰპირდა, რომ თქვენს სიტყვებს იმპერატორს გადავცემ და ვეცდები, — დავამშვიდო იგიო. გრაფი მივიდა სახლში და მართლაც დაწვრილებით მისწერა თავისს იმპერატორს პრეზიდენტის ნალაპარაკევი და იმავე დღეს გაჰგზავნა ბერლინში. მაგრამ ამ მოხსენებასაც იგივე შეემთხვა გზაში, რაც პირველს; ორს დღეში მისი ფოტოგრაფიული პირი საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტროში იყო. ეს გარემოებაც გაუგებელი არ დარჩა გერმანიის მთავრობისათვის.

1895 წ. 12 იანვარს გრაფი მიუნსტერი მოულოდნელად მივიდა ელისეს სასახლეში და კაზიმირ პერიეს გამოუცხადა, რომ ამ შეურაცხყოფისთვის გერმანია დაუყოვნებლივ ამხედრდება საფრანგეთის წინააღმდეგ, თუ იგი ეხლავ საკმაოდ არ დააკმაყოფილებთო. მიუნსტერი დიდად უფიცხა აღელვებული და კაზიმირ პერიესათვის უსაყვედურებია, რომ თქვენს პატიოსანს სიტყვას ვერწმუნე და იმპერატორი დავარწმუნე, რომ ამის მსგავსი აღარ განმეორდება რა და ეხლა ხომ შევრცხვიო. პრეზიდენტმა აღარ იცოდა, რა ეთქვა. იგი ზარდაცემული იყო ამ ამბით და კაი ხანს ხმა ამოუღებლად იჯდა გრაფის მახლობლად. ან კი როგორ არ უნდა დაღონებულიყო პრეზიდენტი, როცა ომი აუცილებელი უნდა გამხდარიყო გერმანიის მხრივ?!

დიდის ხნის სიჩუმის შემდეგ კაზიმირ პერიემ უთხრა მიუნსტერს: „გადაეცით თქვენს იმპერატორს, რომ იგი პირადად ჩემგან, როგორც პრეზიდენტისაგან, მიიღებს დაკმაყოფილებას. მე დიდი წინააღმდეგი ვარ იმისა, რომ შეურაცხჰყონ სახელმწიფო, რომელსაც მშვიდობიანი განწყობილება აქვს საფრანგეთთან. მე არა მსურს ჩემი სამშობლო განსაცდელში ჩავაგდო, ამიტომ პრეზიდენტობას თავს ვანებებ. ამით დაკმაყოფილდეს მისი უდიდებულესობაო.

ორი დღე გავიდა ამის შემდეგ და კაზიმირ პერიე სამსახურიდგან გადადგა. იგი მაშინ, სხვათა შორის, სწერდა: „მე ეჭვი არა მაქვს, რომ საფრანგეთის კეთილ-გონიერება და სიმართლის სიყვარული არ დაუკარგავს, მაგრამ საზოგადოებას გზა და კვალი აუბნიეს. ჩემის სამსახურიდგან გადადგომით ქვეყნის სათავეში მყოფთ იქნება ეხლა მაინც თვალები აეხილოთ და შეიგნონ თავიანთი მოვალეობა, რათა საფრანგეთს სახელი და ღირსება არ დაეკარგოს მთელის ქვეყნის თვალშიო.

— დრეიფუსის საქმის შესახებ საფრანგეთის ჟურნალ-გაზეთობა ორს ბანაკად არის გაყოფილი. რესპუბლიკის ყველა მომხრე გაზეთები საქმის ხელმეორედ გადასინჯვის მომხრენი არიან; წინააღმდეგობას აცხადებენ როიალისტები და ბონაპარტისტები, პოლ-დე-კასანიაკის გარდა, — კლერიკალები, ანტისემიტები და ექს-ბულანჟისტები; გაზ. „Figaro“ გადასინჯვის მომხრეა.

— 13 სექტემბერს პარიჟში შეკიდა სასამართლოს გარდაწყვეტილება, რომლის ძალითაც ემილ ზოლას 3000 ფრანკი უნდა გარდაეხადა სამის ექსპერტის სასარგებლოდ, რომელნიც მოწვეულნი იყვნენ იმის გამოსაცნობად, თუ ცნობილი „ბორდერო“, რომელსაც დრეიფუსს აწერდნენ და ამისთვის დასჯილ იქმნა იგი, ესტერგაზის დაწერილი ხომ არ არისო, როგორც ზოლა ამტკიცებდა თავის წერილში. როგორც ცნობილია, ხსენებულმა ექსპერტებმა ის აზრი გამოსთქვეს, რომ ეს ხელთ-ნაწერი ესტერგაზის კალამს არ ეკუთვნისო.

სასამართლოს ბოქაული მისულა ზოლას სახლში აღმასრულებლის ოქმით და სახლის პატრონი რომ შინ არ დახვედრია, რადგან იგი ჯერ კიდევ შვეიცარიაში იმყოფება თურმე, განცხადება გაუკრავს ზოლას ავეჯეულობის ვაჭრობით გასყიდვის შესახებ. მაგრამ ეს ფული ზოლას მეგობარს ოქტავ მირბოს შეუტანია და ამგვარად ზოლას მოძრავი ქონება საჯაროდ გასყიდვას გადარჩენია.

**ჩინეთი.** ერთი ინგლისურის გაზეთის სიტყვით, ინგლისის ელჩის მაკდონალდის მიწერილობის თანხმად, ინგლისის გემის კაპიტანი, რომელსაც თავი შეაფარა კანგ-იუ-მეიმ, არ სთანხმდება, რომ ეს უკანასკნელი ჩინეთის მთავრობას გადასცეს.

იმავე გაზეთს აცნობებენ შანხაიდგან, რომ ვითომც პეკინში დიდი არეულობა მოეხდინოთ და იმის შიშიც იყვნენ, რომ საერთო არეულობა არ მოხდესო.

ინგლისის გაზეთები ხმასავრცელებენ, რომ პორტ-არტურში რუსეთს 10,000 ჯარის კაცი ჰყავს მზად, რომელთაც პირველ შემთხვევისათანავე პეკინში გაჰგზავნის მშვიდობიანობის დასამყარებლადაო.

---

## ნაკვესი

—

ერთი ავადმყოფი წავიდა აბასთუმანში სამკურნალოდ და ჯან-ღონის მოსაკრებად. ერთხელ იგი სეირნობდა ერთს მკურნალთან და ამ დროს მიცვალებული გაატარეს.

— როგორ, განა აქაც იხოცებიანო? იკითხა მან გაოცებით.

— იხოცებიან, მხოლოდ ერთხელაო, — აწუგეშა მკურნალმა.

---

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

არც ერთს ქვეყანაში არ გაუმარჯვნია დედაკაცს ისე მამაკაცებთან ბრძოლაში არსებობისათვის, როგორც ამერიკაში. ამერიკელმა დედაკაცმა უკვე ფეხი შესდგა ყველა საზოგადო ასპარეზზე და ისიც ათობითა და ასობით-კი არა, არამედ ათასობითა და ათი ათასობით.

შეერთებულ შტატების მთავრობამ გამოაცხადა საყურადღებო ცნობები, რომლებიდგანაც ნათლადა სჩანს, როგორ გაიმარჯვა დედაკაცმა ამერიკაში 17 წლის განმავლობაში და რა ადგილები დაიჭირა.

| | 1880 წ. | | 1897 წ. |
|---|---|---|---|
| არტისტი ქალი იყო . | 692 | არის | 3,862 |
| ხუროთ-მოძღვარი . . | 1 | „ | 53 |
| მხატვარი და მოქანდაკე | 412 | „ | 15,340 |
| მწერალი . . . . | 159 | „ | 3,164 |
| ღვთის მეტყველი . . | 67 | „ | 1,522 |
| კბილის ექიმი . . . | 24 | „ | 417 |
| ინჟინერი . . . . | 0 | „ | 201 |
| ჟურნალისტი . . . | 35 | „ | 1,436 |
| იურისტი . . . . | 5 | „ | 471 |
| მემუსიკე . . . . | 5,753 | „ | 47,309 |
| სახელმწიფო სამსახურში | 414 | „ | 6,712 |
| მკურნალი და ჯარა ექიმი . . . . . | 527 | „ | 6,882 |
| თეატრის დირექტორი . | 100 | „ | 943 |
| ბუჰგალტერი . . . | 0 | „ | 43,071 |
| გადამწერი, მდივანი და სხვ. . . . . . | 8,016 | „ | 92,824 |
| სტამბის პატრონი და სტენოგრაფიის მცოდნე . . , . | 7 | „ | 50,633 |

* * *

უცხოეთისა და რუსეთის ჟურნალ-გაზეთები ძლიერ ბევრსა სწერს ბისმარკის კერძო ცხოვრების შესახებ. ბისმარკმა თვისი ახალგაზდობა ძლიერ მხიარულად გაატარა და ეჭვი არ არის მთელს სიცოცხლესაც ასე გაატარებდა, მაგრამ ხალხი შესძულდა და აღარაფერი ესიამოვნებოდა. ახალგაზდობისას ბისმარკს „დამთხვეულს“ ეძახდნენ. მართლაც და ძნელად რომ ვისმე ისე დაუდევრად გაეტარებინოს თვისი ახალგაზდობა, როგორც ბისმარკმა გაატარა. სვამდა ბევრს სასმელს, უყვარდა ჩხუბი და აყალ-მაყალი და დუელები. სტუდენტად რომ იყო, ერთხელ ამხანაგები დაჰპატიჟა. გაიმართა სმა. ბისმარკმა ფანჯრიდგან გადააგდო ბოთლი, რომელიც თავში მოხვდა ერთს გამვლელს. ეს ამბავი რექტორს შეატყობინეს, რომელმაც დაიბარა ბისმარკი. ბისმარკს ამ დროს ეძინა, წამოდგა ლოგინიდგან, ტანთ ხალათი ჩაიცვა, ფეხთ-ბატფორტები, თავზე წოწოლა ქუდი დაიხურა, მოუკიდა უზარ-მაზარ სიგარას და ისე წავიდა რექტორთან და თანაც დიდი ძაღლი წაიყვანა. რექტორმა რომ ეს ძაღლი დაინახა, ძლიერ შეეშინდა და სტოლს ამოეფარა. ბისმარკმა დაუწყო რექტორს მტკიცება, შეიძლება ბოთლი თავის თავად გადავარდეს ფანჯრიდგანაო, ხელი მოჰკიდა საწერელს და უნდა დაემტკიცებინა თვისის სიტყვების სიმართლე. რექტორმა ბისმარკი დასაჯა.

ბისმარკის სტუდენტობის დროს ერთი ელჩი მეჯლისობასა ჰმართავდა, მაგრამ დარბაზში მხოლოდ ცეკვავდნენ. ბუფეტი არ იყო ხოლმე. ბისმარკი განთქმული იყო კარგის მადით, ეს ამბავი არაფრად ესიამოვნებოდა და პირობა შეჰკრა თავის ამხანაგებთან, ძუნწი მასპინძელი დავსაჯოთო. ერთს საღამოს, როცა ელჩის დიდს დარბაზში გახურებული ცეკვა გაიმართა, ბისმარკმა ანიშნა ამხანაგებს, ყველამ ერთად თავი დაანებეს ქალებს, ამოიღეს ჯიბეებიდგან თითო კუპატი და დაიწყეს ჭამა. ამ ოინმა გასჭრა. ამის შემდეგ ამ ელჩის სახლში მეჯლისის დროს ბუფეტები იყო, მაგრამ ბისმარკს-კი აღარა ჰპატიჟობდნენ.

---

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

23 სექტემბერი.

**სიმლა.** სიკვდილი შავის ჭირისაგან გახშირდა. ამ კვირია ბომბეიში 209 კაცი გარდაიცვალა, ხოლო წარსულს კვირას-კი — 127 ბომბეის საპრეზინდენტოში 4,000 შემთხვევა იყო ამ სენისაგან გარდაცვალებისა. ბანგალორის ქალაქშიაც შავი ჭირი მძვინვარებას იწყებს.

**ცეტინიე.** ბერანიდგან იუწყებიან, რომ ქრისტიანეთა და მაჰმადიანთა შორის ბრძოლა ასტყდა, რომლის დროსაც სამი მაჰმადიანი მოჰკლეს და რამდენიმე დასჭრეს. ქრისტიანეთა შორის ორი მოკლულია და სამი — დაჭრილი.

**ლონდონი.** „Dailu Chronicle“ ს დეპეშით აუწყებენ პეკინიდგან, რომ დიდთა სახელმწიფოთ ჩინეთის მთავრობას ერთობილი ნოტა გარდასცეს, რომელშიაც სთხოვენ, ევროპიელები დაცულ იქმნენ თავს დასხმისაგან და დასჯილისანი, რომელთა ევროპიელთა მტრობას განიზრახავენ.

**ჟენევა.** ბაზელის პოლიციამ დააპატიმრა იტალიელი ჯიოვანნი ჯილო, რომელზედაც ის ეჭვია მიტანილი, რომ, იმპერატრიცა ელისაბედის სიკვდილის რამდენისამე დღის წინად, კავშირი და დამოკიდებულება ჰქონია ლუკკენისთან. ჯილო ჟენევაში მოიყვანეს და საპატიმროში დაამწყვდიეს.

**ბერნი.** საკავშირო საბჭომ დაადგინა განაძეოს კიდევ 6 ანარქისტი.

**პარიჟი,** „Lanterne“ ამბობს: „სარიენი იმ წერილში, რომლითაც საჭიროდ ჰხადის დრეიფუსის საქმის გადასინჯვას, ახალს გარემოებას აღნიშნავს, სახელდობრ წერილს ესტერგაზისას, დიუ-პატი-დე-კლამთან მიწერილს 1897 წლის გასულს, რომელიც შემდეგს წინადადებას შეიცავს: „თუ ექსპერტების იმედი არა გაქვთ, ვიტყვი, რომ ჩემის წერის ხასიათისთვის მოუმსგავსებიათო“.

„Gaulois“-ი აღნიშნავს ინგლისელ გამომცემლის გრან რიჩარდის განცხადებას, რომ „ამ წლის დამლევამდე ინგლისურად გამოვცემ წიგნაკს ესტერგაზისას, რომელსაც პირობაში უკვე შევეკარი კიდეც. თუ საფრანგეთის მთავრობა აღკრძალავს იმისს გასყიდვას საფრანგეთში, ეს წიგნაკი ინგლისურ ენაზედ მაინც და მაინც დაიბეჭდებაო.

## პეტერბურგის ბირჟა, 22 სექტემბერი

| | მყიდველისა (მან. კ.) | გამყიდველისა (მან. კ.) | გარიგებისა (მან. კ.) |
|---|---|---|---|
| 5%.-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | $216\frac{3}{4}$ |
| $4\frac{1}{2}$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | — „ | — „ | 97 |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 101 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 100 | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | $100\frac{1}{4}$ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | $99\frac{3}{4}$ | — „ | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | $293\frac{1}{2}$ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი | — „ | — „ | $255\frac{1}{3}$ |

---

## წერილი რედაქციის მიმართ

—

კარგა ხანია, მოუთმენლად ველოდით მთავრობის ნება-რთვას ალში წიგნთსაცავ სამკითხველოს დაარსების შესახებ, ეხლა ნება-რთვა უკვე მოგვივიდა და იმის მეცადინეობაში ვართ, რომ სამკითხველოსათვის წიგნები და ჟურნალ-გაზეთები მოვიპოვოთ. როცა თხოვნა გვქონდა გაგზავნილი სამკითხველოს ნება-რთვის შესახებ, მაშინ ბევრნი გვპირდებოდნენ დახმარებას. ყველას კარგად მოეხსენება წიგნთსაცავ-სამკითხველოს მნიშვნელობა საზოგადოდ ყველგან და კერძოდ სოფ. ალში, სადაც ხალხი ერთობ არის დაქვეითებული სწავლა-განათლების მხრივ. ამიტომ ვთხოვთ ყველას, ვისაც რითიმე შეუძლია, დახმარება აღმოგვიჩინოს. „წერა-კითხვის საზოგადოება“, ჟურნალ-გაზეთების რედაქციები, როგორც რუსულის, ისე ქართულისა, წიგნების გამომცემელი ამხანაგობანი, კერძო გამომცემლები, სხვა-და-სხვა წიგნის ავტორნი და კერძო კაცნი, დარწმუნებულნი ვართ, თავიანთ წვლილს არ დაჰზოგვენ ჩვენის ღარიბის სამკითხველოსათვის. შემომწირველთა ვინაობა თავ-თავისს დროზედ იქმნება გამოცხადებული ერთ-ერთს გაზეთში.

ვინც რისამე შემოწირვას ინებებს, ვთხოვთ შემდეგის ადრესით გამოჰგზავნოს:

Ст. ГОМИ. Завѣдывающему Альской Библіотекой-читальней священнику Исидору Мачарашвили.

მღ. ისიდორე მაჭარაშვილი

---

მთავარი კანტორა საქარხნო-სავაჭრო ამხანაგობისა

„რ. კელერი და ამხ. მოსკოვში“.

არსებობს მოსკოვში, შუაბაზარში (въ среднихъ торговыхъ рядахъ).

ამხანაგობამ უკვე მოიხვეჭა ჯეროვანი სახელი იმითი, რომ მუდამ სცდილობს გააიაფოს და გააუკეთესოს თავისს ქარხანაში დამზადებული ყოველგვარი ნაწარმოები.

ცნობილია ისიც, რომ რ. კელერისა და ამხ. ქარხანაში მზადდება ისეთი საგნები, რომელნიც თავისის ღირსებით საუკეთესონი არიან.

სავაჭროს გაიაფება და კარგის ღირსების ნაწარმოების დამზადება ამხანაგობამ შესძლო იმის გამო, რომ დიდი მოთხოვნილება ჩვენს ქარხანაში დამზადებულ საგნებისა.

ამის გამო ამხანაგობა ნებას აძლევს თავისს თავს და სასურველად სცნობს, რომ მხმარებელთ თავიანთისავე სარგებლობისათვის ყველგან, როგორც მოსკოვში, ისე პროვინციების მოვაჭრეთაგან, მოითხოვონ და უპირატესობა მისცენ ამ ამხანაგობის მიერ დამზადებულს საგნებს და ვაჭრებმა-კი — შეიძინონ ამავე ამხანაგობის მიერ დამზადებული საგნები, რომელთა გაყიდვის გამოც არ შერცხვებიან არასოდეს წინთაკსიან მუშტარის (3—.—3)

Дозволено цензурою, Тифлисъ 23 го Сентября 1898 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე